საქართველოს კანონი
„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაც-ნე, №19, 15.07.2004, მუხ. 85) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობისას მათ კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა შეუფერხებელ და სრულყოფილ განხორციელებას.

2. ეს კანონი განსაზღვრავს საპარლამენტო მდივნის უფლებამოსილებებს საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობებისას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად“.

2. მე-მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საპარლამენტო მდივანი არის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ან სამინისტროს, ან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი რედაქციის მქონე „მუხლი 7¹“:

„მუხლი 7¹“ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანი.

1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანი არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. იგი ხელს უწყობს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის პარლამენტთან ურთიერთობების განხორციელებაში.

2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს პატრიარქი.

3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანს ჰყავს მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, რომელთაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივნის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს პატრიარქი. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივნის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე.

4. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანი:

ა) ესწრება საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომებს;

ბ) მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, ფრაქციებში და პლენარულ სხდომებზე კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვაში;

გ) ორგანიზებას უწევს საქართველოს პარლამენტთან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ურთიერთობებს;

დ) კოორდინაციას უწევს მისი მოადგილეების საქმიანობას კანონპროექტების მომზადების სფეროში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, საქართველოს პარლამენტში წარადგენს შენიშვნებს განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანი ანგარიშვალდებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. იგი სამსახურებრივად ექვემდებარება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს პატრიარქს.

6. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივნის თითოეული მოადგილე:

ა) მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მიერ კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვაში და ორგანიზებას უწევს შესაბამისი კომიტეტის მიერ შესამუშავებელ კანონპროექტთა ნუსხის წარდგენას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანთან;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს შესაბამისი კომიტეტის მიერ განსახილველ კანონპროექტებში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში აყენებს წინადადებებს ცალკეული კანონპროექტების მომზადების, განხილვის ან შეთანხმების მიზნით შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ.";

4. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის, სამინისტროს საპარლამენტო მდივნისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპარლამენტო მდივანის საქმიანობას უზრუნველყოფენ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროს

აპარატისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფები.";

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2018 წ. 28 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი,

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"-ს ლასკარის თავმჯდომარე.

კანონპროექტის ავტორი

საკანონმდებლო წინადადების - კანონპროექტი: „საქართველოს კანონი - „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" ავტორი:

მიხეილ [გელა] სალუაშვილი

2018 წ. 28 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი,

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"-ს ლასკარის თავმჯდომარე;

კანონპროექტის ინიციატორი

საკანონმდებლო წინადადების - კანონპროექტი: „საქართველოს კანონი - „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", ინიციატორია „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე"-ს, საინიციატივო ჯგუფი:

არუდაშვილი ნანა, ბაიაშვილი თინათინი, ბაიაშვილი სოლომონი [მომხსენებელი], ბეგაშვილი ლალი, ბუიძე ეთერი, გაგუა თინათინი, გოგლიძე ანგი [კაკო], ერქვანიძე ნანული, ვეშაგური ლიდა, თანიაშვილი მანანა,

თანიაშვილი მარგალიტა, თაქთაქიშვილი ალექსანდრე, კობახიძე ლეილა, ლპმთათიძე ნორა, მამადაშვილი მევლუდი, მაძღარაშვილი ნელი, მელქაძე ნათელა, მეფარიძე ლეილა, ნათელაძე ბეჟანი, ოდიშვილი მანანა,

რაზმაძე შაზი, სალუაშვილი მიხეილი [გელა] [მომხსენებელი], საჯაია სერგი, სისაური ლენა, სოსეგაშვილი მანანა, ქამხაძე ლია, შათირიშვილი დავითი, შერგელაშვილი ბეჟანი, ჩხეტია ეთერი, ხალვაში ნარგიზა,

ხრიკული ეკატერინე, ჯიქია დინა [დიანა]...